ორგანიზებული დანაშაული

- ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში ფორმაა.

- ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინება, როგორიცაა:
  - ადამიანის ან ქონების გატაცება მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით
  - ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)
  - ნარკოტიკებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ფეთქებადი ნივთიერებებითა და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა
  - კონტრაბანდა
  - თაღლითობა
  - ტერორიზმი
  - კორუფცია და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)

- ორგანიზებული დანაშაულის განვითარებას ხელს უწყობს საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. ამ მხრივ, საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილი მოზარდები და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ადვილად შეიძლება მოექცნენ კრიმინალური „ავტორიტეტებისა“ და, ზოგადად, კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობები:

- ორგანიზებული დანაშაულისა და კიბერდანაშაულის პრევენციის მიზნით, დაიბეჭდა და სკოლებში გავრცელდა საინფორმაციო პოსტერები;
- ”სამართლებრივი კულტურის“ სწავლების ფარგლებში, გადამზადდნენ მანდატურები და სკოლის პედაგოგები;
- სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლებში ხორციელდება ,,სამართლებრივი კულტურის საფუძვლები“-ის სწავლება;
- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების IX-XI კლასის მოსწავლეებისთვის განხორციელდა საინფორმაციო ხასიათის ექსკურსიები სახელმწიფო მმართველობით ორგანოებში: საქართველოს უზენაესი სასამართლო, პოლიციის აკადემია და საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველო.
- შეიქმნა ფსიქოლოგიური ცენტრები, რომელიც ფსიქო-სოციალურ მომსახურებას უწევს ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს და მათ ოჯახებს.

ორგანიზებული დანაშაულის წევრობას თან სდევს უარყოფითი შედეგები:

- პიროვნება რისკის ქვეშ აყენებს პირად თავისუფლებას და განვითარებას.
- საფრთხის ქვეშ დგება ოჯახის ერთიანობა და სამომავლო კეთილდღეობა.
- საფრთხე ექმნება საზოგადოების კეთილდღეობას.
- სუსტდება სახელმწიფო, ფერხდება მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

ეკონომიკური ზეგავლენა	ორგანიზებულ დანაშაულს თან ახლავს ადამიანების ფინანსური და მატერიალური დანაკარგები. საზოგადოების ნაწილი ხშირად ხდება გამოძალვის, გატაცების ან ძურდობის მსხვერპლი, მეორე ნაწილი კი დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ან ქონების მფლობელი.
ფიზიკური ზეგავლენა	პიროვნების ცემა, დაჭრა, გატაცება და მკვლელობა. ასეთი სახის დანაშაული ეხება კონკრეტულ პიროვნებას, მაგრამ არაპირდაპირი ზეგავლენა აქვს დაზარალებულის ოჯახსა და მთელ საზოგადოებაზე, შესაძლებელია გამოიწვიოს შემთხვევითი მსხვერპლიც.
ფსიქოლოგიური ზეგავლენა	კრიმინალური ორგანიზაციები ხშირად იყენებენ მსხვერპლისა და მოწმეების დაშინების მეთოდს.

გახსოვდეთ, რომ:

- სახელმწიფო თქვენს გვერდით არის.
- ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევებში, თქვენი უსაფრთხოებისათვის აუცილებელია სამართალდამცავ სტრუქტურებთან დროული თანამშრომლობა.
- ორგანიზებული დანაშაულის მსხვერპლთა, მოწმეთა, სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთა უსაფრთხოება დაცულია კანონმდებლობით.